

ფემიციდის კრიმინალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები  
ეროვნულ კანონმდებლობაში

ნინო ალაჯანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა მესხი-სამართლის დოქტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო ალაჯანაშვილი

02.07.2022

## აბსტრაქტი

ისეთ ქვეყანებში, სადაც ფართოდაა გავრცელებული კულტურული თუ რელიგიური სტერეოტიპები, დიდ პრობლემას წარმოადგენს გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაულები. მსგავსი ქვეყნების კატეგორიაში შედის საქართველოც, შესაბამისად მნიშვნელოვანია ისეთი მძიმე დანაშაულის კვლევა და ანალიზი, როგორცაა ფემიციდი-გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობა.

მოცემული ნაშრომის კვლევის საგანს ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ფემიციდის კრიმინალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს. ნაშრომის ძირითად ნაწილში განხილულია, როგორც ფემიციდის ტერმინის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია, ასევე მისი ფორმებიც, ხოლო ისტორიულ-სამართლებრივი, მიმოხილვითი და შეფასებითი კვლევის მეთოდებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ფემიციდის კრიმინალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, მისი პრაქტიკული მაგალითების განხილვითა და ევროპულ თუ ქართულ კანონმდებლობაში მისი მოწესრიგების ანალიზით, რის საფუძველზეც გამოკვეთილია ყველა ის ხარვეზი რაც დაკავშირებულია ფემიციდის ფაქტებზე სათანადო რეაგირებასთან(საკანონმდებლო რეგულირება და კანონის აღსრულება).

კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ფემიციდის განმარტებამ გარკვეული სახის ევოლუცია განიცადა და თუ თავდაპირველად იგი გულისხმობდა ქალის მკვლელობას მამაკაცის მიერ, მასზე დომინირების სურვილითა თუ სექსუალური ძალადობის განხორციელების მიზნით, დღეს ფემიციდს უფრო ფართო მნიშვნელობით განმარტავენ და აღნიშნავს გენდერული ნიშნით ქალის მკვლელობას, რაც რეაგირების გარეშე არ ტოვებს არაინტიმური ფემიციდის ფორმებს. იმის გათვალისწინებით, რომ ფემიციდის არაერთი ფორმა არსებობს, შეიძლება ითქვას, რომ მისი სრულყოფილი და კონკრეტული განმარტება დღევანდელ კანონმდებლობაში

მაინც არ გვხვდება, ვინაიდან ამ შემთხვევაში კოდექსები არ ითვალისწინებენ მის განმარტებას და ფემიციდი, როგორც ტერმინი საერთოდ არ გვხვდება კანონის ჩანაწერებში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ანალიზზე დაყრდნობით, ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, კოდექსში კრიმინალიზებულია გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობა, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ფემიციდი კრიმინალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, იმისდა მიუხედავად, რომ აღნიშნული ტერმინი ჩანაწერში ნახსენები არ არის, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ უმჯობესი იქნება მისი განმარტების ნორმატიულ დონეზე მოწესრიგებაც, რათა სამართალდამცავ ორგანოებსა თუ სასამართლოს გაუმარტივდეს დანაშაულზე სათანადო რეაგირების მოხდენა.

ფემიციდთან დაკავშირებული კანონპროექტების ანალიზმა აჩვენა, რომ კანონპროექტი სრულად არ ეხებოდა ფემიციდის ყველა ფორმას, რის გამოც ფემიციდის გარკვეული შემთხვევები შესაძლოა შესაბამისი რეაგირების გარეშე დარჩენილიყო და ამიტომაც, კანონპროექტი საჭიროებდა კიდევ უფრო მეტად დახვეწას და მასში ფემიციდის როგორც ინტიმური, ასევე არაინტიმური ფორმების რეგულირებას.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ფემიციდის კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით ეროვნულ კანონმდებლობაში შევხვდებით შესაბამის ჩანაწერებს, თუმცა ყველაზე დიდ პრობლემას მისი აღსრულების ნაწილი წარმოადგენს, ფემიციდის საქმეებში, როგორც საგამოძიებო ეტაპზე, ასევე სასამართლო ეტაპზე რთულია გენდერული მოტივის დადგენა და მასზე მსჯელობა, ვინაიდან მსგავსი საქმეების შემთხვევაში არ ხდება საქმის წინა ისტორიის კვლევა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება, რის გამოც საბოლოოდ დამნაშავე ისჯება არა ფემიციდისათვის, არამედ უბრალოდ მკვლელობისათვის. ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფემიციდის საქმეებზე მკვლელობის მოტივის დადგენა მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს.

ევროპული და ქართული კანონმდებლობის ანალიზმა გვაჩვენა, რომ მნიშვნელოვანია კოდექსში არა ტერმინის-ფემიციდის, არამედ მისი ნორმატიული შინაარსის(გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობის) კრიმინალიზაცია და მისთვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა. საკითხის ამგვარი მოწესრიგება იცავს სისხლის სამართლის კოდექსს ხელოვნური გადატვირთვისაგან.

## **Abstract**

In countries where cultural or religious stereotypes are widespread, gender-motivated crimes are a big problem. Georgia is included in the category of similar countries, therefore it is important to research and analyze such serious crimes as femicide-gender-based murder.

The subject of this paper's research is issues related to the criminalization of femicide based on national legislation. The main part of the paper discusses the history of the formation and development of the term femicide, as well as its forms, And based on historical-legal, review and evaluation research methods, the issues related to the criminalization of femicide are analyzed, by discussing its practical examples and by analyzing its regulation in European or Georgian legislation, on the basis of which all the gaps related to the appropriate response to the facts of femicide (legislative regulation and law enforcement) are highlighted.

Based on the research, it can be said that the definition of femicide has undergone a certain kind of evolution, and if at first it meant the killing of a woman by a man, with the desire to

dominate her or for the purpose of sexual violence, today femicide is interpreted in a broader sense and refers to the killing of a woman on the basis of gender, which does not leave non-intimate forms of femicide. Taking into account that there are many forms of femicide, it can be said that its complete and specific definition is still not found in the current legislation, since in this case the codes do not consider its definition and femicide as a term is not found in the law records at all.

It is worth noting the fact that, based on the analysis of the Criminal Code of Georgia, in accordance with the legislative changes implemented in recent years, the code criminalizes murder committed on the basis of gender, therefore it can be said that femicide is criminalized in the Criminal Code of Georgia, despite the fact that the mentioned term is not mentioned in the record, However, research has shown that it would be better to regulate its definition at the normative level to make it easier for law enforcement agencies and courts to respond appropriately to crime.

The analysis of the draft laws related to femicide showed that the draft law did not fully address all forms of femicide, due to which some cases of femicide may have remained without an appropriate response, and therefore, the draft law needed to be further refined and regulate both intimate and non-intimate forms of femicide.

During the research process, it was revealed that we will find relevant entries in the national legislation regarding the criminalization of femicide, although the biggest problem is the part of its enforcement. In cases of femicide, both at the investigation stage and at the court stage, it is difficult to determine the gender motive and discuss it, since in the case of such cases, the previous history of the case is not researched and relevant evidence is not obtained, which is why in the end the culprit is punished not for femicide, but simply for murder. Based on the above, it can be said that determining the motive for murder in femicide cases is an important circumstance.

The analysis of European and Georgian legislation showed us that it is important not to criminalize the term-femicide in the code, but to criminalize its normative content (murder committed on the basis of gender) and to determine the appropriate punishment for it. Such arrangement of the issue protects the Criminal Code from artificial overloading.